სკოლის დასახელება	სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლა
მასწავლებელი	მარიამ (მაკა) უნაფქოშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან	„ძმები ლომგულები“ - ასტრიდ ლინდგრენი
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებით საფეხური IV კლასი
მისაღწევი შედეგები	მოსწავლემ შეძლოს • მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება • ტექსტის ინტერპრეტირება ვერბალური/ არავერბალური გზით • პერსონაჟის ქცევის შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა
წინასწარი ცოდნა	მოსწავლეს შეუძლია: • სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და გაგება-გააზრება • სიუჟეტის დასასრულის/დასაწყისის შეცვლა • პერსონაჟის დახასიათება
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)	აქტივობა N1 - წაიკითხე ტექსტი, მოიფიქრე შეკითხვები. სავარაუდო დრო: 1-2 გაკვეთილი (თუ ტექსტს წინასწარ, შინ წასაკითხათ მივცემთ, აქტივობის მეორე ნაწილს - კითხვების მოფიქრებას და პასუხის გაცემას 1 გაკვეთილი დასჭირდება) აქტივობაN2 - დაწერე/გადმოეცი მოცემული ეპიზოდი ჯონათანის პირით. სავარაუდო დრო: 1-2 გაკვეთილი (თუ დავალებას შინ მოსამზადებლად მივცემთ, პრეზენტაციას 1 გაკვეთილი დასჭირდება, თუ კლასში სამუშაოდ - 2 გაკვეთილი) აქტივობა N3 - ,,პერსონაჟის სკამი“ - მოამზადე კითხვები და გამართე ინტერვიუ პერსონაჟებთან. დრო: 1 გაკვეთილი.
აქტივობა 1	აქტივობა N1 - წაიკითხე ტექსტი, მოიფიქრე შეკითხვები. მიზანი: მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტის მოცემული ეპიზოდი. წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეებს დააჯგუფებს (სურვილის, შემთხვევითი შერჩევის ან კონკრეტული ნიშნის მიხედვით, მოცემულობის გათვალისწინებით, მაგ. მზაობა) და თითოეულ ჯგუფს მისცემს თითო კითხვით სიტყვას: ვინ? რა? სად? როდის? როგორი? როგორ? რატომ? რომლის გამოყენებით უნდა მოიფიქრონ შეკითხვები ტექსტის გათვალისწინებით; დავალების შესრულების შემდეგ ჯგუფები თანმიმდევრობით დასვამენ შეკითხვებს, ხოლო სხვა ჯგუფის წევრები უპასუხებენ (შესაძლებელია პასუხების განვრცობა).

აქტივობა 2	აქტივობაN2 - დაწერე/გადმოეცი მოცემული ეპიზოდი ჯონათანის პირით. მიზანი: ტექსტის ინტერპრეტირება ვერბალური/ არავერბალური გზით მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ/გადმოსცენ მოცემული ეპიზოდი სხვა პერსონაჟის, კონკრეტულად ჯონათანის პირით. შემდეგ მოსწავლეები გააკეთებენ შესრულებული დავალების პრეზენტაციას.
აქტივობა 3	აქტივობა N3 - ,,პერსონაჟის სკამი“ მიზანი: პერსონაჟის ქცევის შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მასწავლებელი შეარჩევს 2 მოსწავლეს, რომლებიც მოირგებენ პერსონაჟების, კერძოდ, კარლისა და ჯონათანის როლებს, დასვამს მათ ,,პესონაჟის სკამზე“. დანარჩენი მოსწავლეები მოიფიქრებენ შეკითხვებს, რომელსაც დაუსვამენ პერსონაჟებს და გაიმართება ერთგვარი ინტერვიუ.

p.s. თითოეული აქტივობის შემდეგ მოსწავლეები მიიღებენ მასწავლებლისგან განმავითარებელ კომენტარს და შეფასდებიან შესაბამისი შეფასების რუბრიკის მეშვეობით.